№ 2708
პარასკევი,
24 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2708
პარასკევი,
24 დეკემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ბრ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ბ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ე. გამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარისა და სხვ. (30—365—28

ექიმი
გ. ა. გიდალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—8)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—18)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—28)

ექიმი
პ. ა. აქრდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედისქუჩა, № 160. (თვ.—8)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კორლანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის" გვერდით. (—6.—10)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში, კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—9)

ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება
საზოგადოების საყურადღებოდ

რადგან ელექტრონით მოძრაობა გაიმართა, ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექცია პატივის ცემით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამას იქით ვაგონების მოძრაობა უფრო ჩქარი იქმნება და უბედურების ასაცდენად საჭიროა:

1) ელექტრონის ვაგონის მოახლოვების დროს, განსაკუთრებით ვიწრო ქუჩებში, ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე არ გადავიდეს ვინმე
2) ვაგონის მოძრაობის დროს არავინ არ ჩამოვიდეს და არც ავიდეს; ასვლა-ჩამოსვლა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც გასაჩერებელ ნიშნად ბოძებია დადგმული და ისიც მარჯვენა მხრიდან.
3) ლიანდაგებს შუა ვაგონში შესვლა და იქიდან გამოსვლა სასტიკად აკრძალულია.
4) ვაგონის მოძრაობის დროს ადგილის გამოცვლა არ შეიძლება.
5) საფეხურებზე დგომა არ შეიძლება.
6) ვატმანთან (ვაგონის დამტარებელთან) ლაპარაკი სასტიკად აკრძალულია.
7) ვაგონის რომელისამე სამექანიკო ან საელექტრონო ნაწილის ხელის შეხება არ შეიძლება.
8) ვაგონიდან ჩამოსვლის შემდეგ ლიანდაგზე არ გადავიდეს ვინმე, სანამ არ დარწმუნდეს, რომ მეორე მომავალი ვაგონი იმისთვის საშიში არ არის, რადგან მიმავალი ვაგონი უშლის მომავალის დანახვას.
9) განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოთ ზარს, რომელსაც მხოლოდ მოძრაობის დროს რეკვენ, ამისათვის უნდა გზიდან გადადგეთ.
10) ვაგონის მოსამსახურეებთან არავითარი დავა არ უნდა ასტეხოს ვინმე; ვისაც-კი რაიმე უკმაყოფილება ექნება—დირექციას გამოუცხადოს.

თუ ყველა ამას არ ასრულებენ—ტრამვაის საზოგადოება პასუხის მგებელი არ იქმნება. (3—3)

ზაზა, ლევან და მართა ივანეს ძენი და ასული ყიფიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის ძმის

გრიგოლ ივანეს ძის ყიფიანისას.

გამოსვენება პარასკევს, 24 დეკემბერს, სურამიდან და დაკრძალვა იმავე დღეს, 24 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე სოფ. ქვიშხეთში. (1—415—1)

ქართული წარმოდგენა—ვეტცელის თეატრში.
(მიხეილის პროსპექტი)

კვირას, 26 დეკემბერს **ბენეფისი ი. ივანიძისა და მ. შალიკაშვილისა** ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

„დ ა-ძ მ ა"
ისტ. დრამ. 5 მ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, სარჯველაძე, იორდანაშვილი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზე.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგე რეჟისორი **მ. აბაშიძე.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპ. არტისტის ლ. დ. დონსკოისა.
სადღესასწაულო რეპერტუარი:
26 დეკემბრიდან 1905 წლის 1 იანვრამდე.

კვირას, 26 დეკემბერს, ორი წარმოდგენა: დილით იაფ-ფასიანი—„**ფაუსტი**", მუსიკა გუნოსი; საღამოთი დონსკოის მონაწ. „**პიკოვაია დამა**", მუს. ჩაიკოვსკისა.

ორშაბათს, 27 დეკემბერს, ორი წარმოდგენა: დილით იაფ-ფასიანი—„**ევგენი ონეგინი**", მუს. ჩაიკოვსკისა; საღამოთი—„**სნეგუროჩკა**", მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.

სამშაბათს, 28 დეკემბერს, საღ. წარმ. დონსკის მონაწილეობით „**ნერონი**". მუს. რუბინშტეინისა.

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს, ქართული წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, საღ. წარმ. დონსკოის მონაწ.—„**მანონ**", მუს. მასსნესი.

პარასკევს, 31 დეკემბერს, წარ. იქ. 1. „**სევილელი დალაქი**", მუს. როსსინისა, 2. **ახალი წლის მიგებება და მასკარადი.**

ვინც აიღებს ლოჟის, პარტერის, ამფითიატრის და მე-2 და 3 იარუსების ბალკონის ბილეთებს, შეუძლიან დარჩეს მასკარადზე.

შაბათს, 1 იანვარს, 1905 წ. წარმოდგენა გალ.—„**ბოკაჩიო**", ოპერეტა, მუს. ზუპპესი.

დილის წარმოდგენების დასაწყისი 12 ს. **საღამოს 8 საათზე.**

გამგე კელლერი.

ბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—1)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—30).

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—29)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიაო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—3).

მომავალ წლის იანვრის 9-ს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, თორმეტ საათზე, დანიშნულია **პირველი საგანგებო კრება** ტფილისის **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** დამფუძნებელ წევრთა შემდეგ საგნების განსახილველად:

1. საზოგადოების წევრთა არჩევანი.
2. საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.
3. დადგენა საწევრო გადასახადის რაოდენობისა. (5—3)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები
„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
22 დეკემბერი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის სტესსელის უქვეშევრდომილესი დეპეშა მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 19 დეკემბერს 1904 წელს: „გუშინ დილით იაპონელებმა საოცრად ააფეთქეს მე-3 სიმაგრე და მაშინვე ასტეხეს მთელ წრეზე ჯოჯოხეთური სროლა. სიმაგრის მეციხოვნე ჯარის ერთი ნაწილი შიგნით დაიღუპა, მეორე ნაწილმა მოასწრო გამოსვლა. ორი საათის სროლის შემდეგ იაპონელებმა შტურმი მოიტანეს ჩინურ კედელზე მესამე ფორტიდან დაწყებული არწივის ბუდემდე. ორი შტურმი მოვიგერეთ. ჩვენმა ზარბაზნებმა დიდი ვნება მიაყენეს იაპონელებს. ჩინურ კედელზე გამაგრება შეუძლებელია. ღამე ვუბრძანე, ჩვენი ჯარი კედელს უკან გორებზე გადასულიყო. მარჯვენა ფრთა დიდ გორასთან იყო. აღმოსავლეთ ფრონტის დიდი ნაწილი იაპონელების ხელშია. ახალ პოზიციაზე დიდ ხანს ვერ გავმაგრდებით, შემდეგ უნდა დავემორჩილოთ იაპონელებს და დავუთმოთ ქალაქი, მაგრამ მაინც ყველაფერი ღვთის ხელთ არის. ჩვენ ძალიან ბევრი ხალხი დავკარგეთ. დაიჭრა ორი პოლკის უფროსი—განდურინი და სემენოვი. გმირი განდურინი ძალიან მძიმედ არის დაჭრილი. მესამე სიმაგრის უფროსი შტაბს-კაპიტანი სეჩედოვი დაიღუპა აფეთქების დროს. დიდო ხელმწიფევ, გვაპატიე. რაც-კი შეგვეძლო, არა დავზოგეთ-რა. გაგვასამართლე *), მაგრამ ღმობიერად მოგვეპყარ. თითქმის თერთმეტი თვის განუწყვეტელმა ბრძოლამ ძალა გამოგვილია. ციხის დამცველთა მხოლოდ მეოთხედს უჭირავს ციხის 27 ვერსი. არავინ ეხმარებათ, შესვენებაც-კი არ შეუძლიანთ. ნახევარი ავად არის. კაცები აჩრდილებს ჰგვანან."

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე 21 დეკემბერს 1904 წელს: „13 დეკემბერს, ჩამობნელდა თუ არა, მოხალისენი, პოდპორუჩიკ დრობიშევის უფროსობით, შეუმჩნევლად მივიდნენ იაპონელების სადარაჯოსთან სოფელ ჩინლინპუში, ლინშინპუდან ორი ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით. თოფი არ გაუსვრიათ ისე ხიშტებით მივარდნენ მოხალისენი. ნაწილი დახოცეს, ერთი ტყვედ აიყვანეს და დანარჩენები გააქციეს. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. 21 დეკემბერს, ღამე მოხალისენი პოდპორუჩიკ ტოვსიანსკის უფროსობით დაეცნენ იაპონელების მიერ დაჭერილ სოფელს სინლუნტუნს, ორი ვესის მანძილზე ერდაგოუს კოშკის სამხრეთით. მოხალისეთა ერთი ნაწილი პირდაპირ მიდიოდა სადემონსტრაციოდ, დანარჩენებმა დასავლეთით მოუარეს სოფელს და „ურას" ძახილით შევარდნენ სოფელში. ბევრი იაპონელი მოჰკლეს ხიშტით, 12 ტყვედ აიყვანეს. ამათგან ოთხი არ არის დიჭრილი. საპიორებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფელს. ჩვენ დაგვიჭრეს მსუბუქად პოდპოარუჩიკი ბარონი ფრედერიქსი და 9 ჯარის კაცი, მოგვიკლეს ორი. 21 დეკემბერს ღამე მოხალისეებმა პორუჩიკ ბონინის უფროსობით და საპიორების დახმარებით ააფეთქეს იაპონელების საზვერავი, დაანგრიეს კედელი სასროლებით და ჩასდვეს ორი თვით-ამაფეთქებელი ფუგასი ერთ-ერთ სოფელში ვუჩჯანინის სამხრეთით. როცა მოხალისენი წამოვიდნენ, ფუგასები აფეთქდა. ზემოდ მოთვლილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას".

პარიზი. „ჟურნალ დე დება" ამბობს, თუმცა წინადვე იცოდნენ, რომ პორტ-არტური იაპონელებს დაჰნებდებოდა, მაგრამ ამ ამბავმა მაინც მთელი ქვეყნიერობა აალელვა. ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ამ ამბავმა საფრანგეთზე მოახდინა. ციხის გმირულ წინააღმდეგობამ გააცრუვა იმ სტრატეგების წინასწარმეტყველება, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეხლანდელ ზარბაზნებს ციხე მხოლოდ ცოტა ხანს თუ გაუძლებსო. სტრატეგებს ჯარის სულიერი თვისება ავიწყდებოდათ.

პარიზი. „ლიბერტე" ამბობს: „სტესელის სალდათები დიდებით მოსილნი გამოვლენ პორტ-არტურიდან. ამ სალდათებმა საოცარ სიმამაცის მაგალითი გვიჩვენეს. ასეთ მამაცობის გამოჩენა მხოლოდ სამშობლოსადმი სიყვარულით აღფრთოვანებულ ხალხს შეუძლიან.

ტოკიო, 21 დეკემბერი („რეიტერი). გენერალ ნოგისაგან დეპეშა მიიღეს პორტ-არტურის დამორჩილების პირობით: 1. როგორც ხმელეთისა, ისე საზღვაო ჯარში მსახურნი, აგრეთვე თავისუფალი მეომრები და სახელმწიფო მოსამსახურენი პორტ-არტურის გარნიზონსა და ფორტებში მყოფნი ყველანი ტყვედ ჰნებდებიან იაპონელებს. 2. ყველა ფორტი, ბატარეია, სამხედრო და სხვა გემი, იარაღი, სამხედრო სურსათი, ცხენები, სამხედრო მასალა, მთავრობის შენობები და საზოგადოდ ყველა, რაც კი რუსეთის მთავრობას ეკუთვნის, იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც ეხლაა, იაპონიის არმიას გადაეცემა. 3. თუ რუსები ზემოხსენებულ ორ პირობას მიიღებენ და იმათ ასრულებას უზრუნველ ჰყოფენ, იცზუშანისა, შაპოცზუშანისა, ტაიანცზუშანის ფორტებისა და ბატარეების მეციხოვნე ჯარი და აგრეთვე ხსენებულ ფორტების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გორების მეციხოვნე ჯარი 21 დეკემბერს 12 საათზე უნდა გავიდნენ და ხსენებული ფორტები და ბატარეები იაპონიის არმიას გადაეცეს. 4. თუ აღმოჩნდება, რომ რუსის ჯარს, ხმელეთისას თუ საზღვაოს, მეორე მუხლში ჩამოთვლილი საგნები მოუსპიათ, ან იმ მდგომარეობას შეუცვლიან, რა მდგომარეობაშიაც ეს საგნები ხელ-შეკრულობის ხელის მოწერის წამს იყო, ხელ-შეკრულობას ძალა დაეკარგება და იაპონიის არმია მოქმედების თავისუფლებას დაიბრუნებს. 5. რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ვალდებულნი არიან შეადგინონ და გადასცენ იაპონიის არმიას პორტ-არტურის სიმაგრეების პლანი, რუკა, სადაც აღნიშნულია რა ალაგასაა ჩაწყობილი ზღვისა და ხმელეთის ნაღმები და სხვა საშიშარი სამხედრო მასალა; უნდა წარმოადგინონ აღწერა პორტ-არტურში სამხედრო და საზღვაო სამსახურის სისტემისა, სია სამხედრო და საზღვაო აფიცრებისა, ხარისხისა და თანამდებობის აღნიშვნით, სია სატრანსპორტო და სხვა გემებისა, მათის მეზღვაურებით და სია ქალაქის მცხოვრებლებისა, სქესისა, ტომისა და ხელობის აღნიშვნით. 6. რუსებმა უნდა დასტოვონ ყოველნაირი იარაღი, სამხედრო მასალა, სახაზინო შენობები და რუსეთის მთავრობის მთელი ქონება, ცხენები, სამხედრო და სხვა გემები თავის ბარგით, კერძო საკუთრების გარდა. რუსისა და იაპონიის არმიის კომისარებმა უნდა გამოარკვიონ, თუ რა ნაირად უნდა გადატანილ იქნას ნივთები; 7. იაპონიის არმია პატივს სცემს მათ მოწინაღმდეგეთა მამაცობას და ნებას აძლევს რუსის სამხედრო და საზღვაო აფიცრებს და არმიის სამოქალაქო მოხელეებს შეირჩინონ ცივი იარაღი და კერძო საკუთრება თავის საჭიროებისათვის. თუ აღნიშნული აფიცრები, სამოქალაქო მოხელეები და თავისუფალი მეომრები ხელწერილით პატიოსან სიტყვას მისცემენ, რომ ომის დასრულებამდის ბრძოლის ველზე არ დაბრუნდებიან და იაპონელთა წინააღმდეგ არ იმოქმედებენ, იმათ ნებას მისცემენ, სამშობლოში დაბრუნდნენ, ამასთანავე თვითეულ სამხედრო და საზღვაო აფიცერს მისცემენ თითო-თითო სალდათს, რომელთაც აგრეთვე პატიოსან სიტყვით გაანთავისუფლებენ. იმ ადგილას, რომელსაც დაუნიშნავს იაპონიის არმია, უნდა შეიკრიბნენ თავის უფროსებით რუსის უნტერ-აფიცრები და ხმელეთისა და ზღვის ჯარის კაცნი, თავისუფალ მეომარნი ფორმით; ყველა ამათ უნდა იქონიონ კარვები და საჭირო ნივთები. იაპონიის კომისარები დაწვრილებით განუმარტავენ რუსის ჯარს, თუ როგორ უნდა იქმნას ასრულებული ეს პირობა; 9. რუსის არმიისა და ფლოტის სასანიტარო რაზმებს არ განთავისუფლებენ იაპონელები, რადგან იმათ უნდა მოუარონ რუსის დაჭრილ ტყვეებს. ამ პირებმა უნდა გასწიონ სამსახური იაპონელ მოხელეების ხელმძღვანელობით; 10. შემდეგ შეადგენენ დამატებით შეთანხმებას, რომელსაც ზემოაღნიშნულ ხელ-შეკრულობის ძალა ექნება და შეეხება მცხოვრებთა რჩენა-შენახვის, ქალაქის საფინანსო ადმინისტრაციის წიგნებისა და დოკუმენტების გადატანას, აგრეთვე არხივს და აღნიშნულ ხელშეკრულობის ასრულების დაწვრილებით პირო-

---

*) სიმაგრეთა მართვა-გამგეობის დებულების 64 მუხლის ძალით, რაც არ უნდა მამაცური იყოს სიმაგრის დაცვა და რაც არ უნდა თავგანწირულებით უძლოდნენ ამ დაცვას, თუ სიმაგრე მტერმა აიღო, კომენდანტი სამართალში უნდა მისცენ. სასამართლოს წევრები ინიშნება საგანგებო უმაღლეს ბრძანებით. ამ სასამართლოსაგან არის დამოკიდებული დაფასება კომენდანტის მიერ მიღებულ ღონისძიებათა სიმაგრის დაცვისათვის და აგრეთვე იმის გამორკვევა, აასრულა კომენდანტმა თავისი მოვალეობა, თუ სიმაგრის დაცემა დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს მას (მთავარ-შტაბის შენიშვნა).

ბებს. 11. ზემო მოყვანილ ხელშეკრულობის კოპიოები უნდა ინახებოდეს იაპონიისა და რუსების არმიებში. ხელშეკრულობა ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ ძალაში შევა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

22 დეკემბერი

ბერლინი, 22 დეკემბერი. („ბერლინერ ტაგებლატი“). სტესელისა და ნოგის რწმუნებულთ „ორლინოე გნეზდოს“ ფორტში გამართეს მოლაპარაკება. იაპონელი და რუსის აფიცრები ერთმანეთს დიდის პატივისცემით ექცეოდნენ. იაპონელები გაუმასპინძლდნენ რუსებს და იმათ უმაგალითო მამაცობას აქებდნენ. რუსის ექიმებსა და ფელდშრებს ნება მიეცათ ავადმყოფებთან დარჩნენ. ბძანება გასცეს, რომ ექიმებს წამლები და იარების შესახვევი მასალა მიეცეს.—როგერდამიდან იუწყებიან, რომ კუნძულ იავას ნაპირებთან იაპონიის ორი კრეისერი გაჩნდაო. კუნძულ ბორნეოს ახლო ნალმიან გემების ფლოტილიამ გაიარა.

მინსკი, 22 დეკემბერი. დილის 10 საათზე ხელმწიფის მატარებელი მივიდა ლიბავა-რომნოს სადგურზე. პლატფორმებზე დარაზმული იყო მე-4 საარმიო კორპუსის ჯარი. ხელმწიფე გამობრძანდა ვაგონიდან დიდის მთავარით მიხეილ ალექსანდრეს ძითა და ამალით და ცერემონიალ მარშით გაატარა საპატიო დარაჯების რაზმი. ამ დროს სამხედრო მუსიკა უკრავდა. ხელმწიფემ ჯარი დაათვალიერა, რომელიც აღტაცებულ ურას ძახილით მიეგება. მისი უდიდებულესობა მოწყალედ მიესალმა ჯარს, მიულოცა ლოშქრობა, უსურვა მშვიდობით დაბრუნება და აკურთხა. ჯარი მუხლ-მოდრეკით ურას ძახილით მიეგება. შემდეგ ხელმწიფე პლატფორმის ბოლოსკენ გაემართა, სადაც ჯარი ცერემონიალ მარშით გაატარა. პარადმა ერთი საათი გასტანა. სადგური მშვენივრად იყო მორთული; ზალა ნაციონალურ დროშებითა და მცენარეებით იყო შემკული. იქ იდგნენ: ადგილობრივ მცხოვრებლების დეპუტაცია, მოსწავლენი. თავისუფალი ცეცხლის მქრობელი რაზმი და შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალ აფიცრების ცოლები. დილის 11 საათზე, ჯარის დათვალიერების შემდეგ, ხელმწიფე წაბრძანდა სადგურზე ადგილობრივ გუბერნატორით, გრაფ მუსინ-პუშკინით; იქ მიეგება ყოვლად სამღვდელო მიხეილი სამღვდელოებით. გუბერნატორმა წარუდგინა ხელმწიფეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დროგოვო-საბუროვი და ვიცე-გუბერნატორი ჩერიცევი. ხელმწიფე ამალით მიუახლოვდა თავად-აზნაურთა დეპუტაციას, რომელმაც გადასცა 20 ათასი მანეთი. შემდეგ ხელმწიფემ ინახულა დეპუტაციები: ქალაქისა, ებრაელ საზოგადოებათა, საეკკლესიო მედროშეთა, საერობო უფროსებისა და გლეხებისა. დეპუტაციებმა მიართვეს პურ-მარილი, ებრაელთა საზოგადოებამ—თორა. ხელმწიფე მოწყალედ ესაუბრა ყველას და შუადღეზე მატარებლისაკენ გაემართა. ორკესტრი საერო ჰიმნს უკრავდა. როცა ვაგონში შედიოდა, ხელმწიფე მოწყალედ თავს უკრავდა ხალხს.

ჩანსიამუტუნი, 20 დეკემბერი. სროლა, რომელიც მთელი ღამე გაგრძელდა, დილაზე შესწყდა. ღამე იაპონელები რამდენსამე ადგილას წინ წამოვიდნენ პატარ-პატარა რაზმებით.—ეხლახან იტყობინებოდნენ, რომ მაღალ ავტორიტეტულ ცნობის თანახმად რუსეთის მთავრობას წინადადება მისცეს შესახებ სანახშირე სადგურებისა უცხოეთის ზღვებში ჩვენის ფლოტისათვის. ამ ცნობამ, რომელიც გადაბეჭდილი იყო სხვა გაზეთებშიაც, ის მოსაზრება გამოიწვია, ვითომ შესაფერ უწყებებს, მათ შორის გარეშე საქმეთა სამინისტროსაც, საკმაო ყურადღება არ მიექციოს ხსენებულ წინადადებისათვის. ჩვენ შეგვიძლია ამ საქმის გამო გამოვაცხადოთ, რომ ავტორიტეტული ცნობა მართლა შეადგინეს გარეშე საქმეთა სამინისტროში, მაგრამ, რადგან ამ უწყებას უფლება არა აქვს რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს შესახებ ფლოტისა, სხვა დაინტერესებულ უწყებებს მისცა წინადადება, რომ ესარგებლნათ იმ სადგურებით, რაც თავის დროზე კიდეც შესრულდა. საქმეს არ მიეცა მეტი მსვლელობა, რადგან ხელსაყრელად ვერ სცნეს ხსნებული წინადადება.

დიდი ბრიტანიის საელჩო თხოულობს გამოვაცხადოთ, რომ იგი უარჰყოფს „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილ ცნობას, ვითომ მეორე ესკადრას ინგლისის სამხედრო გემები მისდევენო.

პეკინი, 21 დეკემბერი. ცინდაოში არიან ნალმიანი გემები „სმელი“ და „ბოიკი“. თუ ხვალ არ წავიდნენ, იარაღის აყრას უნდა შეუდგნენ.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

რედაქციისაგან

ვისაც ჰსურს მომავალ წლის პირველ იანვრიდან გაზ. „ცნობის ფურცელი“ დაუყოვნებლივ მიუვიდეს, მათ უმორჩილესათ ვთხოვთ დააჩქარონ და დროზე დაიკვეთონ აღნიშნული გამოცემა, რათა ადრესები დროზე დამზადდეს.

ქუთაისის, ოზურგეთის, ჭიათურის და თელავის ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ ადგილობრივ რედაქციის აგენტებისაგან მიიღონ გაზეთის ნომრები, ვთხოვთ ხელის მოწერის დროს შეგვატყობინონ თავიანთი სურვილი.

ქუთაისში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და **„მოამბის“ განყოფილება** მოთავსებულია „კოლხიდა“-ში. ყოველივე ცნობისთვის ქუთაისლებმა იქ უნდა მიჰმართონ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტური. გენ. სტესელის უქვეშევრდომილეს 19 დეკემბერს გამოგზავნილ დეპეშაში სწერია: გუშინ დილით (18 დეკემბერს) იაპონელებმა მესამე სიმაგრე ააფეთქეს და მაშინვე საშინელი ზარბაზნის სროლა ასტეხეს ყველა მხრიდან. სიმაგრის პატარა მეციხოვნე რაზმიდან ზოგი დაიღუპა, ზოგმა გამოსვლა მოასწროო. აქ სუნშუშანის ფორტის აღებაზეა ლაპარაკი. როგორც ვიცით, 18 დეკემბერს დილით იაპონელებმა სუნშუშანის ფორტის ბრუსტვერი (უმთავრესი გალავანი) ააფეთქეს და 11 საათზე თითონ ფორტიც აიღეს. შემდეგ გენერალი სტესელი სწერს: იაპონელებმა აღმოსავლეთ ფორტების მომეტებული ნაწილი აიღესო. იაპონელებმა აღმოსავლეთ ფრონტზე, როგორც ვიცით, ჩრდილოეთ კიკვანშანი, პანლუნშანი, ფორტი II აიღეს. გენ. სტესელი განაგრძობს, ღამით უკან დავახევინე ჯარსა და ჩინელების კედელს უკან გორებზე დავაყენე; ახალ პოზიციებზე დიდ ხანს ველარ გავძლებთ. იძულებულნი ვართ იაპონელებს დავმორჩილდეთ. ჩვენ დიდი ზარალი მოგვივიდაო. მართლაც მეტი გაძლება რუსის ჯარს აღარ შეეძლო. 19 დეკემბრის საღამომდე იაპონელებს აღმოსავლეთ ფორტების გარდა, თითქმის ყველა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ფორტები (ერლუნგშანი, სუნშუშანი და სხვა), დასავლეთ-ჩრდილოეთი სიმაგრეები (203 მეტრიანი, „ვისოკაია“ და სხვა გორები) და დასავლეთი სიმაგრეები (203 მეტრიან გორის სამხრეთით) სულ აღებული ჰქონდათ და დარჩენილ შუა-გულ ფორტების აღებაც აღარ გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს რომ იაპონელები მაღლიდან დაჰყურებდნენ ციხეს.

ბევრნი ანგარიშობენ, პორტ-არტური 11 თვეს უმაგრდებოდა მტერსაო... ომის დაწყების შემდეგ იაპონიის ფლოტი იანვრის გასულს, თებერვალსა, მარტსა და აპრილში მხოლოდ ხან და ხან მოდიოდა პორტ-არტურთან და უმთავრესად პორტ-არტურის ნავთ-სადგურსა და რუსის ესკადრას უშენდა ზარბაზნებს; 31 მარტამდე რუსის ესკადრას საკმაოდ დიდი ძალა ჰქონდა და ზღვაშიაც გადიოდა, იაპონელებმა ზღვიდან ნამდვილი ალყა მხოლოდ ცინჩოუსა და დალნის აღების შემდეგ, მაისის ნახევრიდან შემოარტყეს პორტ-არტურს... 22 აპრილს ბიცივოს ახლო გენ. ოკუს არმია გადავიდა ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე და 1 მაისიდან პორტ-არტურს გზა მოუჭრა, 12—13 მაისს ცინჩოუს ყელი დაიჭირა, 17 მაისს დალნი და მაისის გასულს გენ. ოკუს არმია ჩრდილოეთისაკენ წავიდა. შემდეგ გენ. ნოგის არმია მოვიდა კვანტუნზე პორტ-არტურის ასაღებად. 17 ივლისამდე გენ. ნოგი ცინჩოუსა და პორტ-არტურის შუა 40 ვერსის მანძილზე მდებარე სიმაგრეების (ლუნვანტან-, ხუნსანი, უპილაზა, უაიცელაზა და სხვა) აღებას მოუნდა; 17 ივლისს მგლის გორები დაიჭირა და პორტ-არტურის ციხეს ახლოდან ნამდვილი წესიერი ალყა შემოარტყა; 19 დეკემბერს რუსის ჯარმა დამორჩილების სურვილი გამოაცხადა. ასე რომ გენ. ნოგი თითონ პორტ-არტურის ციხის აღებას 5 თვესა და 2 დღეს მოუნდა. („ლ.“).

რუსის ჯარმა პორტ-არტურში დიდი გულადობა და თავგანწირულება გამოიჩინა. ამის თაობაზე „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „პორტ-არტურის დამცველების მამაცობას ყველანი ერთხმად აღიარებენ, მაგრამ ამ გულადობასა და თავგანწირულებას სწორე საზომით არ აფასებენ. ერთის გაზეთის კორესპონდენტი სწერს: „თუ რამდენად ძლიერია ციხის დამცველთა გულადობა, ეს იქიდან სჩანს, რომ მეციხოვნე ჯარმა არა ერთხელ მოიგერია იაპონელების შტურმიო“ (ეს დეპეშა „ნოვოე ვრემია“-ში იყო დაბეჭდილი). ეს შემცდარი აზრია, „შტურმის მოგერება“ სულაც არ მოასწავებს დამცველთა მამაცობას. ცნობილია, რომ სიმაგრეებსა და სანგრებში მოუმზადებელი გაუწვრთნელი ჯარის-კაცებიც კარგად იბრძვიან. ამავე დროს, ალბად, საქმის უცოდნელობით ხმას არავინ იღებს იმაზე, რაც ჯარის გულადობის ნამდვილ მომასწავებლად ჩაითვლება. რუსის ჯარის სულიერ სიმაღლეს ნამდვილად სიმაგრეებიდან გასვლა და იაპონელებზე თავგანწირულ კონტრ-იერიშის მიტანა მოასწავებს. აი, ეს მოქმედება ნამდვილად გაკვირვების ღირსია. კედლებს უკან ბევრნი იბრძვიან კარგად, მაგრამ ხანგრძლივ ალყისა, განუწყვეტელ ზარბაზნის სროლისა და მრავალ შტურმის შემდეგ, როცა ჯარს ნერვები მთლად აშლილი აქვს და გული ნატკენი გაცრუებულ იმედებისაგან, კონტრ-იერიშით მისვლა ძლიერ მტერზე ბევრს არ შეუძლიან და ნამდვილად საკვირველ მამაცობას მოასწავებს.“

როგორც დეპეშიდან ვიცით, რუსის კაპიტან კარცოვს ჩიფუში უთქვამს „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტისათვის, იაპონელებს პორტ-არტურის აღება 80 ათასიდან 100 ათასამდე მოკლულ და დაჭრილ კაცად დაუჯდებოდათო. რა ზარალი მოუვიდა რუსის ჯარს, ეს არც რუსის უმაღლესმა აფიცრებმა იციანო. თუ რუსის ჯარის ზარალი არ იციან, იაპონელების ზარალი საიდან-ღა გაიგეს?

უკანასკნელ დეპეშებიდან ცხადად სჩანს, რომ რუსის ჯარს 203 მეტრიანი გორა უკან არ დაუბრუნებია. ჩინელებს ტყუილი მოუხსენებიათ გენ. კუროპატკინისათვის. უკანასკნელ დეპეშებიდან ისიცა სჩანს, თუ რა ფასი ჰქონია ზოგიერთ კორესპონდენტის ცნობას, ვითომ რუსის ჯარს პორტ-არტურში არაფერი არ აკლია და ციხე სულაც არაა განსაცდელში ჩავარდნილი; იაპონელები სულ ტყუილ ამბებს იგონებენო.

რუსის ჯარის გალაშქრება სამხრეთისაკენ სექტემბრის გასულს. „რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი ს. ნ. კ. სწერს: „ფულინში (მდ. ხუნხეზე, მუკდენის აღმოსავლეთით) ვიდექით. 15 სექტემბერს ჩვენში ხმა გავრცელდა, ჩვენი არმია 22 სექტემბერს სამხრეთისაკენ გაილაშქრებსო. ჯერ საიდუმლოდ ლაპარაკობდნენ გალაშქრებაზე, მერე-კი უფრო ხმა მაღლა და ბეჯითად დაიწყეს ლაპარაკი, თუმცა როგორღაც არა გვჯეროდა გალაშქრება, მით უმეტეს რომ ჩვენ ბინასთან მდ. ხუნხეს ახლო მრავალ სანგარს ჰმართავდნენ. მით მაინც 21 სექტემბერს ჩვენი ბრიგადა გაამწკრივეს და პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისის წინ გენ. კუროპატკინის ბრძანება წაიკითხეს გალაშქრებაზე; პარაკლისის შემდეგ გენ. გენგროსმა გიორგის ჯვრები დაურიგა სალდათებს, ვინც ლიაოიანის ბრძოლაში გამოიჩინეს თავი,—თითო როტას რვა-რვა ჯვარი მიეცა. მეორე დილას 7 საათზე პოლკები ნელ-ნელა გზას გაუდგნენ. როცა ჩვენი პოლკები მაისში ვაფანგოუსაკენ მიდიოდნენ, ყველას სუფთა ტანისამოსი ეცვა, ფეხსაცმელი ჰქონდა; ყველა მხიარულადა და ყოჩაღად იყო, ყველანი მხიარულად ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ; ყველა მხარეს მხიარული სიმღერა ისმოდა; ყველაზე მეტად ახალ სიმღერას მღეროდნენ: „კორეიას ჩვენს ხელმწიფეს დავუმორჩილებთო“. ყველანი კვეხულობდნენ, სეირს ვუჩვენებთ იაპონელებსო; ყველანი აბუჩად იგდებდნენ იაპონელებს. მხოლოდ ორიოდე აფიცერი, ვისაც იაპონელები 1900 წელს ჩინეთში ენახა, ამბობდა, იაპონელები თავს გვაცნობებენ, იმათზე საშიში მტერი ჯერ რუსეთს არა ჰყოლიაო, მაგრამ ამ აფიცრებს ყურს არავინ უგდებდა. ეხლა, ამ გალაშქრების დროს სულ სხვა სანახავი იყო ჩვენი პოლკები. სალდათებს ნაირ-ნაირი ტანისამოსი ეცვათ; ზოგს ჩინური ხალათი და კურმა (მოკლე ტანისამოსი) ეცვა, ფეხო ზოგს ჩინური ულა ეცვა, ზოგს წაღა; ბევს წაღის ძირი თასმითა, ან თოკით ჰქონდა მიბმული, რომ არ დაჰკარგოდათ; ან ისეთი დახეული წაღები ეცვათ, რომ პატრონს არაფერი დააკლდებოდა, სულაც რომ გადაეყარა. ყველანი ჩუმად მიდიოდნენ, სიმღერის ხსენებაც არ იყო; ყველას დაღვრემილი სახე ჰქონდა“....

კორესპოდენტი დაწვრილებით აწერს, გენ. შტაკელბერგის რაზმის გალაშქრებას გენ. კუროკის არმიის წინააღმდეგ და, სხვათა შორის, ამბობს: ჩვენს რაზმს ჩანსულინისა და ტამულინის უღელტეხილი უნდა აეღო... ჩანსულინის უღელტეხილთან ჩვენი მე-4 პოლკი კინილამ სულ არ დაიღუპა. 30 სექტემბერს იაპონელებს შეეხჩა, 1000 კაცი მოკლული და დაჭრილი დააკლდა, ბრძოლის ველზე ქარავნისა და ბარგის ნაწილი დასტოვა და უკან დაიხია; სხვათა შორის, ბრძოლის ველზე პოლკის საეკლესიო პოეზიკაც დარჩა წირვისათვის საჭირო საეკლესიო ნივთებითო. ტამულინის უღელტეხილი ვერ ავიღეთ და 30 სექტემბერს უკან დავიხიეთო...

საზღვარ-გარედ

შეერთებული შტატები. შტატის მასაჩუსეტის ქ. კემბრიჯს ამერიკის ანტი-იმპერიალისტთა კავშირის კრება მოხდა. კავშირის წევრთა შორის ძველი მოღვაწენიც იყვნენ, ზანგების განთავისუფლების დროის მებრძოლნი. კრებას თავმჯდომარეობდა შტატის მასაჩუსეტის ყოფილი გუბერნატორი ბუტველი ოთხმოცი წლის მოხუცი, ზანგების განთავისუფლების დროინდელი მოღვაწე, რომელიც დღესაც, ახალგაზდა კაცივით, უმაღლესის მისწრაფებითაა აღფრთოვანებული: იგი იცავს საუკუნო პრინციპებს ადამიანთა ძმობა—თანასწორობას, პიროვნების თავისუფლებას. „ამ პრინციპით აღფრთოვანებულებმა გავანთავისუფლეთ ჩვენ ზანგებიო, სთქვა ბუტველმა: „მართალია, ცოტანი ვართ, მაგრამ შეერთებულ შტატების დამფუძნებელნიც ცოტანი იყვნენ. ზანგების განმათავისუფლებელნიც პირველად ცოტანი იყვნენ, შემდეგ კი მრავალი თანამგრძნობი აღმოუჩნდათ. იმპერიალიზმიც მონობაა, ეგოისტური თავის კერძო პოლიტიკა, წადილი უცხო ქვეყნების დაპყრობისა, დაუსრულებელი შეიარაღება, ძალ-მომრეობა, ერთი სიტყვით ადამიანის პიროვნების შებღალვა, რომელიც საბოლოოდ მეხად დასტყდება თავს თვით ძალმომრეობის მსახურსა. იმპერიალისტურ პოლიტიკით მხოლოდ მდიდრები სარგებლობენ თავიანთ ჯიბის გასასქელებლად: წყალს ამღვრევენ და შემდეგ შიგ ოქროს თევზებს იჭერენ; განცხრომაში არიან, ხალხს კი თავის ნაშუფრალს არგუნებენ ხოლმე. განა ცოტა გვაქვს საქმე შინ, ჩვენ ოჯახში, ჩვენ ქვეყანაში, რომ, ანგარებით გატაცებულნი, სხვა ქვეყნებს ვეტანებით დასაპყრობად. ჩვენ ბუნებით კარგ პირობებში ვართ ჩაყენებულნი. გვერდით არა გვყავს საშიშარი მეზობლები. ჩვენსა და ევროპას შუა თვალ-უწვდენელი ოკეანეა, შორეულ აღმოსავლეთისგანაც ოკეანე გვყოფს. მრავალი დაუმუშავებელი ადგილები გვაქვს, მილიონი ბავშვი გვყავს აღსაზრდელი, მილიონი ღარიბ-ღატაკი, რომელთაც შიმშილით ლამის სული ამოხდეთ და, მათ შეწყალობის მაგიერ, უცხო ქვეყნების დაპყრობით პირადი გამდიდრება გვწადიან“.

დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა გულწრფელი, უმაღლეს მისწრაფებით გატაცებული მოხუცი ორატორი.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **ლიანდაგზე ბევრი მუშაა** ძალიან შორს სადგურიდან. ამათ ხშირად, სიშორის გამო, უჭირთ სურსათის შოვნა. გზათა სამინისტრომ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზას იყოლიოს განსაკუთრებული აგენტები, რომელთაც სურსათი უნდა მიაწოდონ ლიანდაგის მუშებს. სურსათის გადატანა რკინის გზით უფასოდ შეიძლება. კვირაში თითო მუშისთვის სამი ფუთის სურსათის წაღება შეიძლება.

◆ ამ ბოლო დროს, მომავალ დღესასწაულების გამო, ყოველ დღე დიდძალი ხალხი აწყდება **ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებს.** ხშირად კაცს პატარა საქმისათვის მთელის საათობით უხდება დგომა და ცდა. ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში ყოველთვის დიდძალი მუშაობაა. მაგრამ შობა-ახალ წლის და აღდგომის დღესასწაულებში ეს მუშაობა ორკეცდება. მოხელენი მუშაობაში თითქმის დღე-ღამეს ასწორებენ. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას იმან, ვინც მოვალეა და მოუმატოს მოხელეთა რიცხვს დღესასწაულებში მაინც.

◆ პირველ დეკემბრისათვის ჭიათურისა და ჭიქოურის საწყობებში **შავი ქვა** იყო 21,422,000 ფუთი. ნოემბერში ჭიათურის შტოთი გაუტანიათ 2,669,250 ფუთი შავი ქვა. ფოთსა და ბათუმიდან ამავე თვის განმავლობაში გაუტანიათ ევროპასა, ამერიკასა და რუსეთში 2,467,866 ფუთი. შავი ქვის ფასი მსოფლიო ბაზარზე ისევ რვა პენსია.

◆ ამას წინად ქალთა ხელოსანთა ამქარმა დაადგინა, დააარსოს **საკვირაო სკოლა** წერა-კითხვის არ მცოდნე შეგირდებისა და ქარგლებისათვის. ამქრის უსტაბაშმა, ამ გადაწყვეტილების თანახმად, შესაფერი შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე. როგორც ნამდვილად გავიგეთ, გუბერნატორს არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა, რადგან ამქარს ამისათვის საკმაო ფული არა აქვს და, ამას გარდა, საკვირაო სკოლების დაარსება ხელოსანთა საზოგადოების საქმე არ არისო.

◆ 21 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე, ვიღაც კაცმა **მოჰკლა რკინის გზის სახელოსნოების ხარატების** ამქრების ბრიგადირი ვაშაკიძე. მკვლელობა მოხდა იმ დროს, როდესაც ვაშაკიძე თავის ბინაზე ადიოდა მეორე სართულში. მკვლელი ვერ დაიჭირეს.

◆ ნ. ზუბალაშვილის სახელობის **ღარიბთა თავშესაფარი** უკვე დამთავრებულ იქმნა. შენობის მოსაწყობად დაიხარჯა 85,000 მან. თავშესაფარი გაიხსნება 1905 წლის მარტიდან.

◆ განმაახლებელ კომიტეტის განკარგულებით, უკვე შეუდგნენ **მცხეთის ტაძრის** შესაკეთებლად მასალის მიტანას და მუშაობას. ტაძრის ერთი ნაწილი საცდელად გადახურეს კიდეც. თუ ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო, ამ მასალით გადაიხურება მთელი ტაძარი.

◆ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს, ნება მიეცა, რომ **მოქალაქეთა რწმუნებულების** არჩევნები ერთ საარჩევნო კრებაზედ მომხდარიყო. სთხოვა აგრეთვე ინსტრუქცია არჩევნების დროს სახელმძღვანელოდ. გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიციმეისტერს, განკარგულება მოახდინოს, რომ არჩევნები წარსულ წლების მიხედვით პოლიციის მეთაურობით მოხდეს. არჩევნები რწმუნებულთა მოხდება მომავალ იანვარში.

◆ 2 იანვრისთვის ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ტირაჟი ქალაქის **მეორე საობლიგაციო სესხის** ობლიგაციების გასანაღდებლად. უნდა განაღდდეს 24,600 მანეთის ობლიგაცია.

◆ რკინის გზათა მთავარ-გამგეობის სატეხნიკო განყოფილების უფროსმა ინჟენერმა დომბროვსკიმ უკვე დაამთავრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის **ნავთის მილის** დათვალიერება და დაბრუნდა ბაქო-ბალაჯარის გზით პეტერბურგში.

◆ **აკაკის სახელობის ფონდის** სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო თორმეტი მანეთი. ეს ფული შეკრებილია სოფელ მარტყოფში მღვდელ ა. ეპიტაშვილის მიერ. ფული და შემომწირველთა სია გადაეცა „წ. კ. გამავრ. საზოგადოების“ გამგეობას.

◆ ამ ბოლო დროს **ხოლერა ძალიან შესუსტდა** ერევნის გუბერნიაში. 15 დეკემბრისთვის მთელ გუბერნიაში მხოლოდ ათი ხოლერიანი იყო. 19 დეკემბრისთვის ნახიჩევანის მაზრაში ავად გახდა 7 კაცი, მოკვდა 3, მორჩა 4, შარურო-დარალაგეზის მაზრაში ავად გახდა 3, მოკვდა 1, მორჩა 2; ერევანში ავად გახდა 2, მოკვდა 2, ეჩმიაძინის მაზრაში ავად გახდა 2, მორჩა 1, მოკვდა 1. სხვა მაზრებში არავინ გამხდარა ავად. 19 დეკემბერს ბალაჯარაში ორი კაცი გახდა ავად.

◆ მოგვივიდა **საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“** დეკემბრის ნომერი. აქვე მოგვყავს შინარსი:

ფერადი სურათი—მეგობრები. „ჯეჯილს“ ლექსი—თ. რაზიკაშვილისა. „ჩიტების შობის ხე“ (საშობაო მოთხრობა)—ან. წერეთლისა. იაპონური ფიალები (ფრანგულიდან)—კლდიასი. ნაძვის ჩივილი (თარგმანი)—კნ. ან. ამილახვრისა. იაკობის გამჭრიახობა (ფრანგულიდან)—ნ. ა—ლისა. შობის ხე ტყეში (თარგმანი)—ს. ციციშვილისა. სახუმარო კითხვები და რებუსი. მილოცვა—ლექსი—შ. მღვიმელისა. ორი სურათი—ეკ. გაბაშვილისა. თეიმურაზ მეფის კურთხევა—ალ. სარაჯიშვილისა. პაწია გმირი (დაუსრულებელი მოთხრობა)—ალ. ყაზბეგისა. პიგმალიონი (ოვიდიუსი)—ალ. ყუმისთაველისა. გასართობი, სახუმარო ამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, ახსნა და სხვა.

◆ ამ დღეებში ქალაქის ტეხნიკოსმა კარაპეტოვმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ უსახელო საზოგადოება ზოგგან ლიანდაგზე ცუდად კირწლავს ქუჩებს, ასე რომ სულ მოკლე ხანში საჭირო იქნება მათი ხელმეორედ მოკირწყვლაო. ქალაქის გამგეობამ გუშინ აცნობა ეს ამბავი ბელგიის უსახელო საზოგადოებას და მისწერა, ქალაქის გამგეობა ეხლა ლმობიერად ექცევა უსახელო საზოგადოებას, რადგან მას ბევრი საჩქარო საქმე აქვს და ხელშეკრულობისდა მიხედვით არ ატანს ძალას, რომ ქუჩები რიგიანად იკირწლებოდეს, ამიტომ გამგეობა აცნობებს საზოგადოებას, რომ როგორც კი გაზაფხული დადგება და ქუჩების მოკირწყვლის საქმე ნორმალურს მდგომარეობაში ჩადგება, გამგეობა მოსთხოვს საზოგადოებას ხელმეორედ მოკირწლოს და გააკეთოს ის ქუჩები, რომელიც ზამთარში მოკირწლა საზოგადოებამ.

◆ ინჟენერმა არუთინოვმა აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას ზოგიერთი ნაკლულევანებანი, შემჩნეული ელექტრონის ტრამვაის ვაგონების მოძრაობის დროს. არუთინოვი, მაგალითად, სწერს, რომ გარეშე ხალხს არავითარ შემთხვევაში ნება არ უნდა მიეცეს ვაგონის დამტარებელთან ახლო დგომისა. აგრეთვე

წინადადება უნდა მიეცეს კონდუქტორებს, ნება არ დართონ ხალხს ვაგონების მოძრაობის დროს ჩამოხტომისა ან ზედ ამოსვლისა. სხვათა შორის, არუთინოვი ამბობს, რომ ელექტრონით ვაგონების მოძრაობას ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება, თუ გასაჩერებელი ნიშნები არ შეცოტავდა, რადგან ეხლა ბევრგან უხდება გაჩერება ვაგონებს და ამით ისევე იგვიანებს, როგორც ცხენის რკინის გზის ვაგონით.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, გუშინ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოსაგან მოწონებული ახალი ნიხრი ხორცისა.

◆ 21 დეკემბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში, მეეზოვემ ხუროშვილმა დაიჭირა ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე ფილიმონოვი, რომელსაც ქალაქის მეორე ღამის თავშესაფარის სადგომიდან ნივთები მოეპარა და მიჰქონდა.

◆ 21 დეკემბერს პოლიციის მე-7 ნაწილში მახათის ქუჩის შესახვევში ტფილისის მოქალაქემ სერგო თუმანოვმა დანით მძიმედ დაიჭრა თავი მუცელში და ყელში. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში აჰგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გუშინ წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას ის წესები, რომლითაც ელექტრონის ვაგონების დამტარებლებმა უნდა იხელმძღვანელონ მუშაობის დროს. საზოგადოების წარმომადგენელი სთხოვს დაამტკიცოს გამგეობამ ეს წესები, რომელიც შემდეგ უნდა დაიბეჭდოს და დაურიგდეს ვაგონების დამტარებლებს.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, მეჩეთის ქუჩაზე, მეჩეთის ნომრებში ჩამომხტარმა ბაქოელმა ვაჭარმა ჯაფარ ჯაფაროვმა 22 დეკემბერს პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემმა ნათესავმა ხანბუდაგოვმა მომპარა ნივთები 1170 მანეთისა და ფულად 180 მან. და სადღაც გადაიმალაო. ქურდს დაეძებენ დასაჭერად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ღარიბთა ბავშვებისთვის შობის ხის გასამართავად გადასდო 100 მან.

◆ სპარსეთის ქვეშევრდომს ჯიბრაილ ბენიამინოვს, რომელიც სხვა დროსაც შეუმჩნევიათ ქურდობაში და დაუსჯიათ, 21 დეკემბერს გოგოლის ქუჩაზე მცხოვრებ პლატონ შარაშენიძისთვის, იმის შინ არ ყოფნის დროს, მოუპარავს სხვა-და-სხვა ნივთები 320 მანეთისა. ქურდი შეიპყრეს.

◆ ტფილისის საადრესო სტოლი შობა დღეს, ახალ წელს და ნათლიღება დღეს ხალხისათვის ცნობების მისაღებად გაღებული იქნება დილის 9-დან 12 საათამდე.

პასუხად აკაკის

გულს ნუ გაიტეხ, მოხუცო!
ფიქრს ნუ ეძლევი მწარესა,
ნუ ასტირებ შენს შემქნელს
ზურმუხტ-ფერს ტურფა მხარესა.
სიმებს ნუ შესწყვეტ ჩანგურსა,
ნუ მოშლი მისსა ჟღერასა;
სული და გული სწვევია
შენს ტკბილს, ხან მწარე მღერასა.
შენ ამონაკვნესს ეხლანდელს,
უწოდე: „უკანასკნელი“,
თვით ის სხვას ამბობს: კვლავ ღვივა,
არ გამქრალა სანთელი.
ჩვენც ეს ხმა, გულის მალამო
და წყარო ნეტარებისა,
მივიღეთ, როგორც ხარება
მგოსანის განკურნებისა.
არ დაგვეკარგვის ნაყოფი
მისი, რაც დაგითესია—
ვარდი, რომ ვარდზე ამოვა
—ბუნების რიგი-წესია...
აღსდეკ, მხცოვანო! მოჰფინე
კვლავ ია-ვარდი სულს და გულს,
მიესალმე მომავალს
ახალს ცხოვრების „გაზაფხულს“.

მოსწავლე.

აკაკის

გული უზომო ტანჯვით მევსება,
თვალთაგან მცვივა მდუღარე ცრემლი,
მას შემდეგ, რაც რომ გადავიკითხე
ქ შენი ლექსი „უკანასკნელი“.

—

რამ დაგაღონა, გმირო მგოსანო?
რამ შეარყია ეგ მტკიცე გული,
არა ერთ-გვარი ჭირის მნახველი,
რისგან ხარ აგრე შეშინებული?

—

ნუ თუ მისგან, რომ ავადმყოფობამ
მცირე რამ ხნობით მოგკლო ძალი?
არა, მან ყველას უნდა გაუძლოს
შენებრ ვისიც სჭრის გონების თვალი.

—

მიემურები შენ წინაპრებთან,
გინდა მოგვაკლო შენი ნათელი
და მის სანაცვლოდ გსურს დაგვიტევო
მხოლოდ-და მარტო „უკანასკნელი“.

—

მაგრამ, მგოსანო, ვერ გაგიმეტებთ,
ჯერ ჩვენ არ ძალ-გვიძს შენი შეღევა
და მისთვის მარად გავედრებ ჯვარ-ცმულს,
რომ იმან მოგცეს შენ ჭირთა ძლევა!

—

მრავალ-ჟამიერ იცოცხლე კვლავაც,
ისრაც და კვლავ შენი მტერისთვის...
სნეული [illegible] მიაპყარ აწმყოს
ტანჯვით აღსავსეს ჩვენი ერისთვის;

—

სადი თვალით-კი დასტკბი მომავლით,
მიეცი ლხენა შენ დატანჯულ გულს
იმ, იმ მომავლით, რომელსაც ხედავ
თავისუფლებით კვლავ აღყვავებულს...

—

და შენებურად უმღერე მამულს
ახალი ნათლის სხივით შემკობილს,
სადაც შეხედავ შეკავშირებულს
შენს თანა-მოძმეს და მამულის შვილს!..

—

მანამდისინ-კი, სულის მკურნალო,
ნუ დაგვაჯერებ „უკანასკნელით“,
გამამხნევებელს შენგან მოძღვრებას
სულ სხვა იმედით... ველით და ველით!

დეკემბერი 15. **ანასტასია იურკევიჩი.**

პრესსა

ბევრს ლაპარაკობენ რუსული გაზეთები უკანასკნელ უმაღლეს ბრძანების გამო. ზოგი ძალიან კმაყოფილია—სუვორინი, მაგალითად, ამტკიცებს რომ მისი წინასწარმეყველება შესახებ „გაზაფხულის მოსვლისა“ ამ ბრძანების შემდეგ უეჭველი არის, მე მართლა წინასწარმეტყველი გამოვედიო.

„მოსკოვსკია ვედომოსტი“ სულ სხვას ამტკიცებს: მადლობა ღმერთს, ბოლო მოეღო რუსეთის „შინაურ მტრების“ უნიადაგო ოცნებას, არაფერი არ გამოიცვლება და „გაზაფხული“ იმ „მტრების“ შეთხზული ზღაპარი არისო.

„ნაშა ჟიზნ“-ი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ უმაღლესი ბრძანებით ცნობილია პრაქტიკული მომწიფება იმ რეფორმებისა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი უჩვენებდა წინად და ამიტომ ამ ბრძანებას აქვს არა მარტო პრაქტიკული, არამედ ზნეობრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაცო. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა რეფორმები არ არის ნახსენები ბრძანებაში და ზოგიც ისეა მოყვანილი, რომ განხორციელების შემდეგ ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებასაო. გარდა ამისა უმაღლეს ბრძანებას მოჰყვა მთავრობის განცხადება, რომელიც დამშვიდებას ვერ გამოიწვევს საზოგადოებაშიო. ყოველ შემთხვევაში

> ეხლანდელი მომენტი მეტად დიდმნიშვნელოვანია, მას საბოლოო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელის რუსეთის ხალხისათვის და ამიტომ არავითარ რყევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

დიდი როლი აქვს დღეს პრესსას—მან უნდა გამოარკვიოს ნამდვილი ხასიათი ეხლანდელ მომენტისა და გაბედულად გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულებაო.

„ნოვოსტი“ იმ აზრისაა, რომ კარგი კანონების გამოცემა არ არის საკმარისი, თუ არ იქნება ისეთი დაწესებულება, რომელიც ყურს უგდებს კანონის ასრულებას...

⁂

დღევანდელი რუსული პრესა გუშინდელს აღარ ჰგავს. მიუხედავად ბევრ ნიშნებისა, რომელიც რეაქციის უცვალებლობას უქადიან რუსის საზოგადოებას, პრესსა გულს არ იტეხს, იგი დარწმუნებულია, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა ნიადაგიანი და ძლიერია.

> ყველაფერი მოწმობს, რომ ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურად გაიზარდა. დღეს საზოგადოება ძალაა, რომელთანაც ბრძოლა, გამარჯვების იმედით, ბიუროკრატიას აღარ შეუძლია.

⁂

როგორც ჩვენმა საზოგადოებამაც კარგად იცის, როცა ქუჩაში რამე არეულობაა, პოლიცია მეეზოვეებს (დვორნიკებს) დაიხმარს და ამათის დახმარებით სცდილობს „წესიერების“ აღდგენას. გაზეთ „პრავო“-ს აზრით, არც ერთი არსებული კანონი არ აძლევს ნებას პოლიციას ასეთ შემთხვევაში მეეზოვეები მიიწვიოს. გარდა ამისა ერთი ისიც უნდა ვიკითხოთო, ამბობს გაზეთი,

> რა მიზნით არის, რომ ასეთ რთულ და მძიმე საპოლიციო ფუნქციისათვის (წესიერების აღდგენისათვის) იწვევენ კერძო პირებს, რომელთაც არც დისციპლინა იციან და არც საპოლიციო სამსახურის მოვალეობანი?
>
> როგორც ვიცით, საერთაშორისო სამართალი პირდაპირ წინააღმდეგია, რომ ომში მონაწილეობა მიიღონ არა-რეგულიარულმა ჯარებმა, რომელთაც არ იციან ომის კანონები და ჩვეულებანი და, მაშასადამე, არც შეუძლიანთ მათი ასრულება. თუ ეს ასე არის, ნუ თუ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ „არა-რეგულიარულ პოლიციას“ იწვევდნენ ეგრედ წოდებულ „შინაურ მტერთან „საბრძოლველად?
>
> განა მოსალოდნელია, რომ ასეთმა არა-რეგულიარულმა პოლიციამ აასრულოს „კანონები და ჩვეულებანი“ საპოლიციო სამსახურისა?..
>
> ეჭვი არ არის, რომ მთელი დახმარება, რომელიც შეუძლია გაუწიოს მეეზოვეების არა-რეგულიარულმა პოლიციამ რეგულიარულ პოლიციას, მხოლოდ ცემა-ტყეპა იქნება განურჩევლად ბრალიანისა და უბრალოსი...

ესეც კარგად იციან იმ ჩვენი ქალაქების მცხოვრებლებმა, რომელნიც გაბედნიერდნენ ამ „ინსტიტუტის“ შემოღებით.

⁂

გაზეთი „რუს“-ი დიდ ყურადღებას აქცევს ეგრედ წოდებულ „პოლონურ საკითხს“. ეს ერთი ხანია, ბევრი საყურადღებო წერილი დაიბეჭდა ამ გაზეთში ზოგი რუსებისა და ზოგიც თვით პოლონელებისა. წერილები სხვა და სხვა მიმართულებისა იყო: ზოგი რას თხოულობდა და ზოგი რას, რომ პოლონელების მდგომარეობას რუსეთში ნორმალური ხასიათი მიეცეს, მოხდეს „შერიგება“ ორ მონათესავე ერებ შორის. 363 ნომერში მოყვანილია (მეთაურ წერილში) ეგრედ წოდებულ „ლიგა ნაროდოვას“-ს შეხედულება რუსებთან დამოკიდებულების შესახებ.

> ლიგა სცნობს, რომ ეხლანდელი მომენტი მეტად დიდმნიშვნელოვანია, რადგან რუსეთის შინაურ ცხოვრებაში ცვლილებანია მოსალოდნელი; ამიტომ ლიგა უფრო განავრცობს თავის პროგრამმას, რომლის მიზანი იქნება უზრუნველ ჰყოს პოლონეთის ხალხის ინტერესები რუსეთის სახელმწიფოში არეულობის დროს და ისარგებლოს ეხლანდელ მდგომარეობით ჩვენის (პოლონელების) ხალხისათვის ისეთ პოლიტიკურ-უფლებრივ პირობების შესაძენად, რომ ჩვენ ხალხს ჰქონდეს გარანტია, რაც შეიძლება, ვრცელ განვითარებისა ყოველ მხრივ. ლიგის მოქმედება უნდა გამოიხატოს ბრძოლაში უფლებისა, პოლონურ ენისა და პოლიტიკურ დაწესებულებისათვის. გარდა ამისა, ჩვენი საგანია დავუახლოვდეთ და შევთანხმდეთ როგორც რუსის ოპოზიციასთან, ისე არა რუსთა შორის არსებულ მოძრაობასთან. რუსეთში შესაძლებელი რეფორმები რუსის პარტიებს სხვანაირად აქვთ წარმოდგენილი და ჩვენ სხვანაირად უნდა წარმოვიდგინოთ. ჩვენთვის ყოველ ცვლილებას სახელმწიფო წეს-წყობილებაში მხოლოდ იმდენად ექნება მნიშვნელობა, რამდენად ის შეგვძენს კანონიერ ნიადაგს ჩვენ სახალხო შრომისა და ბრძოლისათვის და რამდენად პოლონეთის მიწებს იმედს მისცემს, რომ შესაფერ განცალკევებას მიაღწევენ, ამიტომაც ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით ისევე მოვიქცეთ, როგორც რუსების ოპოზიცია; ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მას იმდენად, რამდენად იგი ამზადებს ჩვენის მიზნისათვის საჭირო პირობებს. ამ წუთში „ლიგა ნაროდოვა“-ს არ შეუძლია არც შეთანხმება და არც დაპირება შესახებ პოლონეთის მომავალ მდგომარეობისა. ამ გვარ შეთანხმებას არც პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, რადგან „ლიგა“ არ გრძნობს თავის თავს (ხალხის) რწმუნებულად... დარწმუნებულნი, რომ პოლონურ მიწების ავტონომია არის აუცილებელი პირობა არა მარტო პოლონელ მიწების სად განვითარებისა, არამედ თვითონ რუსეთისაც; დარწმუნებულნი, რომ ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, უფლებრივ სახელმწიფოდ გახდომის დროს შეიძლება მხოლოდ მაშინ მოეწყოს, თუ საძირკვლად დეცენტრალიზაცია და ცალკე ნაწილების ავტონომია არ დაედება, ჩვენ საგნად დაგვიდვია გავაგებინოთ ჩვენს მოკავშირეთ პოლონურ საკითხის მნიშვნელობა რუსეთში.

თავის მხრივ გაზეთი „რუს“-ი ამბობს:

> ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ყველა ნამდვილი რუსი, რომელ პარტიისაც არ უნდა იყოს, თანახმანი არიან და თავის დღეში არ შეურიგდებიან პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას ან სახელმწიფოს ავტონომიურ ნაწილებად დაყოფას.

თეატრი

ბათუმი. 21 დეკემბრისათვის ვ. ალექსი-მესხიშვილის მიერ გამოცხადებული იყო ქართული წარმოდგენა. წარმოსადგენად დანიშნული იყო მენოტის პიესა „კაი გრაკხ“. რადგან მესხიშვილს ავადმყოფობის გამო ვერ მიუღია მონაწილეობა, უთხოვნია პიესის გამოცვლა და, დაუნიშნია იბსენის პიესა „ჩრდილოეთის გმირნი“. წარმოდგენის გამგენი, როგორც ამბობენ, დათანხმებულან პიესის გამოცვლას. დიდ-ძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ითამაშეს ორი მოქმედება, მაგრამ შემდეგ თეატრში გაისმა: „ძირს, არ გვინდა ეს პიესა“-ო. ასტყდა ერთი ალიაქოთი. დაფრთხნენ მაყურებელნი. აწრიალდნენ მსახიობნი, ქალმა-არტისტებმა ტირილიც იწყეს. სცენაზე გამოვიდა ვლ. მესხიშვილი და მოახსენა, რად გამოსცვალეს პიესა (ავადმყოფობის გამო). ვიღაცამ მიაძახა: „თქვენ პატივსა გცემთ, მაგრამ მოგვატყუილეთო“! ასტყდა ისევ ყვირილი. წარმოდგენა შესწყვიტეს. ხალხი დაიშალა და არტისტებიც გაემართნენ ქუთაისისაკენ.

რუსეთის ქრონიკა

◆ რიგიდან „ნაშა ჟიზნ“-ს ატყობინებენ, რომ ლანგესა და შეილის გემთ-საშენებელ ქარხანაში მუშაობა ისევე შეწყვეტილია. მუშები ყველა დაითხოვეს და ქარხანაში განცხადებაა გაკრული ახალი მუშების მიღებისათვის ძველის პირობებით, რომლის შესრულება შეუძლებლად სცნეს ძველმა მუშებმა და მუშაობას თავი დაანებეს.

◆ ხმა არის, რომ ამ ახლო ხანში მინისტრთა კომიტეტი გადაათვალიერებს გაძლიერებულ დაცვის დებულებას და მსჯელობა უთუოდ ამ დებულების მოსპობის შესახებ იქნება. გაძლიერებული დაცვა შემოღებულ იქმნა 1881 წ. და ყოველ წელიწადს ვრცელდებოდა რუსეთში თითქმის ყველა ქალაქებში. შინაგან საქმეთა სამინისტროში მრავალი შუამდგომლობა აღძრეს სხვა-და-სხვა ქალაქებიდან და თხოულობენ, რომ გაძლიერებულ დაცვის დებულება მოისპოს.

◆ როგორც ვიცით, საერო განათლების სამინისტრომ აღძრა საკითხი სახალხო სამკითხველოებში სახმარ წიგნების სიის გადათვალიერების შესახებ. ეს საკითხი გადაეცა განსახილველად განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც სასულიერო უწყებათა, სამიწათმოქმედო, იუსტიციის, ფინანსთა და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენელებისაგან შესდგება. დიდი ხანია საჭირო იყო შევსება წიგნების სიისა. სახალხო სამკითხველოებში მოსიარულეთა დიდ ნაწილს შეადგენს ხელოსნები და ქარხნის მუშები, რომლებიც წიგნს გასართობად-კი არ კითხულობენ, არამედ უნდათ განათლება შეიძინონ. უმეტესი ნაწილი თხოულობს ტეხნიკურ ცოდნის შინარსიანს, ბუხჰალტერიისა, სამეურნეო და საბუნების-მეტყველო წიგნებს. სახალხო სამკითხველოების კატალოგებში-კი არ არის სპეციალური წიგნები ნავარაუდევი და მკითხველები დაუკმაყოფილებელი რჩებიან. აგრეთვე ხალხშიაც არის დიდი მოთხოვნილება სიტყვა კაზმულ ლიტერატურისა. ამ მხრითაც უფასო სამკითხველოებში სახმარ ნებადართულ წიგნების სია ვერ აკმაყოფილებს ხალხს და დაძველებულად იცნო სამინისტრომ. ლ. ნ. ტოლსტოის სახალხო თხზულებებიდან ცოტა არის ნება დართული წიგნთ-საცავებში სახმარად. ამ ბოლო დროს ამ მხრივ სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა ერთი ნაბიჯი წარსდგა წინ და ნება დართო წიგნთ-საცავებში სახმარად ტოლსტოის „განა ბევრი მიწაა საჭირო ადამიანისათვის“.

◆ კურკში მცხოვრებმა ვექილებმა და იმათმა თანაშემწეებმა მოსკოვის ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნეს დეპეშა და გამოუცხადეს, რომ სულით და გულით ვუერთდებით მოსკოვის ოლქისა და სასამართლო პალატის ნაფიც ვექილთა 20 ნოემბერს მომხდარ კრების დადგენილებას და გამოთქმულ სურვილებსაო. დეპეშაზე 16 კაცს აქვს ხელი მოწერილი.

◆ სამარის გაზეთი იუწყება, რომ სამარის გუბერნიის სამმართველომ დაარიგა პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარი, რომელშიაც აღკრძალულია პოლიციის მოხელეებმა მიიღონ „საჩუქრები“.

◆ სიმფეროპოლში 14 დეკემბერს, ოლქის სასამართლოში მასლოვსკის ქალის მკვლელობის შესახებ საქმის გარჩევის დროს პატარა მოწმე ბიჭმა ზაგოვენკომ გამოაცხადა, რომ პირველად ჩვენების ჩამორთმევის დროს ბოქაული მცემდა და მიბძანებდა, რანაირი ჩვენება მიმეცაო. ბავშვის სიტყვები ორმა კაცმა დაამოწმა. პროკურორის მოთხოვნილებით გამოძიება სწარმოებს ბოქაულ იუდიცკის მოქმედების შესახებ.

წერილები

ნაქალაქევი (სამეგრელო). კოკის პირულ წვიმიან და ჰმუნვით მოცულ ნოემბრის დღეების შემდეგ, დეკემბერმა გულუბრყვილოდ გაგვიღიმა და დაგვიდგა კარგის ტაროსით, რომელმაც, სამწუხაროდ, დიდ ხანს ვერ გასტანა. რამდენისამე დღის შემდეგ (5 დეკემ.) ისევ დაიწყო წვიმები, წვიმებს კი თოვლიც მოჰყვა. მთა და ბარი, ტყე და ველი შეიმოსა თეთრის ჩადრით, რამაც ბუნებას სულ სხვა ელფერი დასდო. პირველ დანახვაზე ყველა, დიდი და პატარა, გაჰსძახის: „თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა!“ და რაღაც აღტაცებით ეგებება ამ ბუნების მოვლენას. დიაღ, სასიამოვნოა პირველად ეს ერთ ფეროვანი ზამთრის სურათი. სასიამოვნოა აგრეთვე ამ დროს ცეცხლის კარგი გუგუნიც. მაგრამ სადაა კარგი ცეცხლი! ნაქალაქეველებს შეშა ცოტა გვეძვირება უტყეობისა გამო. აქ საჟენი შეშა 10—18 მან. ჰღირს, რაც უმეტეს წილ აქაურ მკვიდრთათვის მიუწდომელია. როგორც სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხეებში, აქაც ხშირად შეხვდებით ნახევრად წაქცეულ და გატიტვლებულს სარებს. აქაური მცხოვრებნი, ვისაც შეშა ეძვირება, შემოდგომიდან შეუდგებიან ხოლმე ღობეების დარღვევას არა თუ საყანეებზე, ეზოებშიაც და ამით ათბობენ ცოლ-შვილს. გაზაფხულზე კი თავის დროზე ვერ აკავებ საყანეებსა და ეზოებს და მით ხვნა-თესვა ძალიან უგვიანდებათ. როცა იმერეთში მარგვლაა დაწყებული, აქ ხშირად საყანეები სიმინდის ღეროებისაგან გაწმენდილიც არ არის.

თუმცა-ღა ნაქალაქევში წერა-კითხვის მცოდნეთა და აგრეთვე ინტელიგენტთა რიცხვიც თვალსაჩინოა, მაგრამ, წინააღმდეგ მოლოდინისა, მხოლოდ ერთად ერთს ქართულ გაზეთს „ცნობის ფურცელს“ ვღებულობთ. ერთი მასწავლებელი იწერს კიდევ „ჩრნ. ვესტ.“-ს და „საც.“ მიუხედავად ზემო აღნიშნულ გარემოებისა, უმეტესობა აქაურ მცხოვრებთა ფრიად დაინტერესებულია ცხოვრების მიმდინარეობით. თითქმის ყველა საღამოობით დიდძალი ხალხი იკრიბება თავისუფლების დროს გაგუას დუქანში, სადაც ერთი მათგანი უკითხავს მათ გაზეთს, დანარჩენი კი დიდის სიამოვნებით ისმენენ. გეგონებათ, აქ შეკრებილან რაიმე საკითხის გასარჩევადო. ვისაც არ შეუძლიან დაესწროს, სახლში მიაქვს გაზეთი, სადაც, რა თქმა უნდა, სხვებიც დაესწრებიან წაკითხვას.

თუ ერთი ჯგუფი ცხოვრების მიმდინარეობას თვალ-ყურს ადევნებს და სურს გაიგოს მისი ავ-კარგი, მეორე ბარუხს ეთაყვანება და „მუნჯობიაში“ ვარჯიშობს; მოქეიფეებმა ახალი ჩვეულება შემოიღეს—მუნჯობა. ქეიფის დროს მოქეიფეთ ნება არა აქვთ კრინტი დასძრან. უნდა სვან სადღეგრძელო ჩუმად და თითებით ანიშნონ ერთმანეთს, რაც სწადიანთ. დამრღვევს აჯარიმებენ ღვინით სავსე ჩაის ჭიქით. პირველ დანახვაზე, ასე გგონია მუნჯები სხედან ტრაპეზად, და რაღაც სიბრალული გებადება ამ სურათის მნახველს. სიჩუმე სამარისებურია, რომელსაც არღვევს მხოლოდ ჭიქების ჭახა-ჭუხი.

6 დეკემბერს ადგილობრივმა მღვდელმა ერთს აქაურ ეკლესიაში წირვა რუსულად შეასრულა. ეს ეკლესია ისეთ ალაგს არის, სადაც რუსულ ენის მცოდნეს სანთლითაც ვერ იპოვნით. ნეტავ რა უნდოდა ამ მღვდელს ამით თავის მრევლისათვის ეჩვენებინა? რუსულ ენის ცოდნა? თუმცა-ღა ხალხი ნაკლებად დასწრებია, მაგრამ იმასაც ჯეროვანად დაუფასებია ეს მღვდელი: „ეტყობა, ჩვენს ხუცეს კარგად სცოდნია რუსული ენა, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია და მით უსარგებლოო“.

ალიკო

—

ხორგა (სამეგრელო). აქ სამწუხარო ამბავი მოხდა. ძველ-სენაკიდან ხორგას მიმავალ გზაზე 7 დეკემბერს, დილით ადრე, ამა სოფლის მცხოვრები თავ. დავით მხეიძე მკვდარი უნახავთ. იგი მუცელში დაჭრილი აღმოჩნდა. დავით მხეიძე წინა დღის საღამოს ორ თავის ძმასთან ერთად ძველ-სენაკში ყოფილა. იქ ღვინით შეზარხოშებულან და მერე სამივე შინისკენ წასულან. დაწვრილებით ცნობები არ ვიცით, არც მკვლელინ სჩანს. გამოძიება სწარმოებს.

ალიკო

—

ახალი-ათონი (აფხაზეთი). თუ არ ენახულება, ვის არ გაეგონება მაინც, რომ აფხაზეთში, სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 25 ვერსზე, ზედ ზღვის პირას მდებარეობს მდიდარი ახალ-ათონის მონასტერი, რომელშიაც 800-ზე მეტი რუსის ბერია. ზამთარ-ზაფხულს სწორედ სამიამოვნო სანახავია ახალი-ათონი. ადგილის მდებარეობა, მონასტრის შენობები, ლიმონ-ფორთოხლის, სხვა ხეხილის და დეკორატიულ მცენარეების ბაღები ერთი-მეორეს ეცილება სიმშვენიერე-სილამაზით და მნახველს ვერ გადაუწყვეტია, უპირატესობა რომელს დაუთმოს. ამ ადგილში მონასტრის დაარსების მიზანი, სხვათა შორის, იყო სამისიონეროც. მაგრამ, თუ სახეში არ მივიღებთ იმ ოც აფხაზის ბავშვს, რომელნიც ყოველ წლობით მონასტრის ხარჯით აქაურ სკოლაში იზდებიან და რომელნიც სკოლის გათავებისთანავე ივიწყებენ-რა, რაც უსწავლიათ, —მამების „ხელობას“ ჰკიდებენ ხელს,—სხვა გავლენა ათონის მონასტერს აფხაზებზე სრულიად არაფერი აქვს. ქრისტიანობა არამც თუ ვრცელდება და მკვიდრდება ამ მხარეში, თან და თან ისპობა კიდეც. ამ უკანასკნელ 8—10 წლის განმავლობაში აფხაზები ყოველ წლობით ათასობით სტოვებენ ქრისტიანობას და მაჰმადიანდებიან. ამისი მიზეზი თუმცა ცხადია, მაგრამ გარემოება ამაზე ლაპარაკის ნებას არ გვაძლევს. ყოველ წლობით დიდ-ძალი რუსის ხალხი მოდის ამ მონასტერში. ეს ხალხი გაიყოფება სამ რიგად: პირველ რიგს შეადგენენ სოფლის მდაბიო მცხოვრებნი, რომელთაც თავი მოაკლეთ გაუხდიათ ერთხელ მაინც ინახულონ ეს ადგილი და ამ ადგილში ღმერთს თაყვანი სცენ. მეორე რიგს რუსეთის ინტელიგენცია—არისტოკრატია შეადგენს, რომელიც, ვინემ სალოცავად, დროს გასატარებლად უფრო მოდის აქ—უმეტესად ზაფხულობით, როცა ზღვაში ბინაობის სეზონი იწყება. ამათთვის მონასტერს გამართული აქვს მშვენიერად მორთულ-მოწყობილი სასტუმროები. მესამე რიგს წარმოადგენს—რუსეთის, ეგრედ წოდებული, „ბოსიაკობა“. გიორგობისთვე გავლის თუ არა, უთვალავი რიცხვი ამ „ბოსიაკებისა“ მოაწყდება ხოლმე აქ, რომ მონასტრის ნესტიან და შეხუთულ სარდაფებში მაინც როგორმე შეაფაროს თავი და ამნაირად ნახევრად შიშველ-მშიერებმა მკაცრ ზამთარს დააღწიონ. ამათ ყოველ დღე უყვირიან: თქვენთვის ხომ არ აგვიშენებია ეს მონასტერიო, მაგრამ ესენი მაინც არხეინად განაგრძობენ ერთხელვე დაკავებულ ბინაში ცხოვრებას აპრილის დამდეგამდის, როდესაც, როგორც ბუზები, ძვრებიან ამ სოროებიდან და მიეშურებიან სხვა-და-სხვა ადგილებისაკენ. ახალ-ათონს მუდამ ზამთარ-ზაფხულ დიდ-ძალი სამუშაო აქვს; ამიტომ აქ ნიადაგ მრავალი რუსის უბრალო მუშა იყრის თავს, რომლის დღიური ფასი 15—20 კაპ. არ აღემატება. მონასტრის აქეთ-იქით მხარეს ასე ორ ვერსზე, კერძო პირების მამულზე სასმელების დუქნები იყო გამართული. პატრონები ჩვენებურები იყვნენ; ვაჭრობაც გვარიანი ჰქონდათ; მაგრამ ამ წლიდან დუქნები დააკეტინეს, რადგან ასე ახლო მათი არსებობა მონასტრისათვის მავნებლად სცნეს. ამის შემდეგ ზოგიერთმა რუსის გლეხებმა საიდუმლოდ იწყეს არყით ვაჭრობა, რასაც მოჰყვა არა სასიამოვნო ქურდობა. ერთ ბამბორელ გლეხს, რადგან შეუმჩნევლად ბევრის ერთბაშად მონასტერში შეტანა და გასაღება ვერ მოეხერხებია, რამდენიმე ბოთლი არაყი ეკლებში, ჩაემალა და რომ დაბრუნდა, აღარაფერი დაუხვდა. დედაბერ ტ-სიას, სანამ ზოგიერთ ბოთლებს დაარიგებდა, დანარჩენები, ეკლებში ჩამალული, ოლაცეებმა სულ გამოუსვეს. ხლეხს ბუ—ევს იმ დროს, როცა არაყიან ბოთლებს ასაღებდა, ცხენი მოჰპარეს და გამწარებული გაიძახოდა: ღვთისაგან წყეული და შეჩვენებული იყავით, აფხაზებო, ჩემის ცხენის მოპარვისთვისო, თითქოს დანამდვილებით სცოდნოდეს, რომ იმისი ცხენის ქურდი მართლა აფხაზია და არა სხვა ვინმე.

აფხაზი

ხარაგაული (ზემო იმერეთი). მოსავალი ჩვენსკენ ამ წელს, შედარებით გასულ წლებზე უკეთესი არ იყო. ხალხი კი უფრო შესუსტებული და ვალიანი დაუხვდა ამ მოსავალს. შიმშილობის ხანიდან ბევრი ვალი გადმოჰყვა შევიწროებულ გლეხებს ამ მეორე მოსავლის წლის დასაწყისში. ამ ვალების გასასტუმრებლად იძულებულნი გახდნენ დაბინავებამდის გაეყიდნათ მოსავლის ერთი ნაწილი. ღვინო, რაც კი მოუვიდათ, დამაჭრებამდის გამოაცალეს ხელიდან უფრო მოხერხებულმა გაიძვერა მეზობლებმა. 3—4 აბაზად იყიდებოდა ჩაფი ტკბილი. სიმინდი არასოდეს არ მოსდიოდა გასასყიდი აქაურ მკვიდრს და ამიტომ ვერც არაფერს ეხლა გაჰყიდდა, იმით მხოლოდ ზაფხულზე აღებული სიმინდის სესხი გადაიხადა და მონარჩენი თავის საკვებ-სარჩოდ დააბინავა. გაეხსნა დიდი მაზანდა მარტო ლობიოს. ეს მესამე თვე გადის, ეზიდებიან ყოველ პარასკევკვირა დღეს ლობიოს, თუ ურმით, თუ ზურგით სოფლელები და დღემდის არ შეუწყვეტიათ მით ადგილობრივ ჩარჩების გაძღომა-გასუქება. სოფლელს უჭირს საქმე; ფული ესაჭიროება—ცალკე ძველი წლიდან შემოყოლ ვალების გასასტუმრებლად, ცალკე შინაურ აუცილებელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ცალკე გადასახადების ჩასაბარებლად. ეს „მტკივანი“ დრო კარგად იციან ჩვენმა ჩარჩებმა და მაშინ დაუწყებენ ხოლმე ფულის სესხებას სოფლელებს ჭირნახულის „თავის ნება პროცენტებით“ გამსესხებელი და მეორე მხრით ფულის შემკრები. ამ დროს რა ჰქნას საწყალმა—არ იცის, რომელ ერთს გაექცეს... და უვარდება „მკაცრ ბრჭყალებში“ ჩარჩს. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა ასეთ მდგომარეობაში მყოფი სოფლელი, მომავალ მაისს-ივლისს წასულზე უარეს გაჭირვებაში ჩავარდება. რა იქნება შიმშილობის შედეგი, ეხლავე ცოტა ძნელი სათქმელია; მხოლოდ როგორ ამოაგდო ძველი კვალიდან სოფლელის ცხოვრება ვითარების მიმდინარეობა გამოვლილმა შიმშილმა, ეს დღეს ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინოა. გამწვავებულმა გაჭირვებამ ჩააფიქრა სოფლელი და ერთხელ არჩეულ გზაზე სიარული რაღას მოუხერხებლად მიაჩნჩევინა. აქამდის თუ დროს გატარებას, წირვა-ნათლობაზე და სხვა ამისთანებზე თუმნიანების დახარჯვას დასასრული და სათვალავი არა ჰქონდა, ეხლა ესენი თითებზე შეგიძლიან ჩამოსთვალო. აქამდის თუ ნდობის თვალით უყურებდა ყველას და ყველაფერს, დღეს ეჭვი ეპარება ყველაზე და გაფაციცებით იხედება აქეთ-იქით, არიქა მეტი არავინ „დამგლიჯოს“, არავინ მომატყუოსო. წინად იშვიათი იყო, რომ წიგნების შესაძენად ფულის შეკრების დროს რომელიმე მოსწავლის მშობელი გამოცხადებულიყო სკოლაში და დაწვრილებით გაეგო, თუ რა და რა საფასო წიგნი სჭირდება იმის ბავშვს, ოღონდ დაგებარებინა მოსწავლისათვის, ამდენი და ამდენი ფული დაგჭირდება სასწავლო ნივთების შესაძენადაო და ისიც დაუყონებლივ, მეორე—მესამე დღეზე მოარბენინებდა ფულს. ეხლა კი ასე აღარ არის. ჯერ გარკვეულად იკვლევენ, თუ რაში და რამდენს სთხოვენ ფულს? გაცხარებულნი და გაკვირვებულნი კითხულობენ ამასთან: რა მიზეზია, რომ „ბალანამ“ ჯერ ქართული კითხვა არ იცის და რუსულ წიგნების სასყიდლად სთხოვენ ფულს. ამბობენ, სკოლაში ჩვენც ვყოფილვართ, მაგრამ მაგისთანა კი არაფერი გვინახავს და გაგვიგონიაო. ჯერ ქართულად გვაგებიებდნენ და მერე რუსულად. ეხლა კი სულ სხვანაირად, უკუღმართად იქცევიანო. „ბალნები“ ლაპარაკობენ რუსულად, მაგრამ თავის ნალაპარაკები, რას ხსნის და რა არის, თითონ არ იციანო“. ეხლა 10 მოსწავლეში 2—3 ყოველთვის უწიგნოა.

აქამდის გზები და ხიდი არ გვივარგოდა, მაგრამ ეხლა ხიდი უკვე შეაკეთეს და გზებიც გვექნება, მგონი, მომავალში სასიარულოთ სავარგისი.

მოვაგონებ პატივცემულ მკითხველს, რომ ადგილობრივი სამკითხველო-ბიბლიოთეკა სასიკვდილო გზის პირზე იყო მიმდგარი და იმის მოსაბრუნებლად წევრებმა გადასწყვიტეს წიგნის საწყობის გახსნა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია საზოგადოებას სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარემ კნ. ე. ნ. ლორთქიფანიძისამ. წიგნის საწყობმა მოქმედება დაიწყო მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან. მახლობელ სასწავლებლის მასწავლებლებმა ვერ გაუწიეს ამ სიმპატიურ დაწესებულებას დახმარება. 19 მახლობელ სკოლებიდან მხოლოდ 10 მასწავლებელი ვაჭრობდა ამ საწყობიდან. ასეთ „გულ-გრილობის“ მიუხედავად, როგორც ამ თვის 8-ს აღმოაჩინა სარევიზიო კომისიის ანგარიშმა, წიგნების საწყობის საქმე გვარიანად წასულა. 200 მან. სესხი დანიშნულ ვადაზე ჩაუბარებიათ და ამას გარდა რევიზიის დღემდის თავნზე შეუძენია მოგება 153 მან. 16 კაპ. გასულ წლის საწევრო ფული ჯერ კიდევ ბევრს ჰქონია შემოსატანი. მიმდინარე წლის ხვედრი მარტო 9 წევრს ჰქონია შემოტანილი და ისიც არა სრულად. ეს ანგარიში 15 ამ თვეს უნდა დამტკიცებულიყო, რაზედაც მოწვეულნი იყვნენ წევრები, მაგრამ უკანასკნელნი არ გამოცხადდნენ და ამიტომ კრება არ შესდგა. შემდეგი კრება დანიშნულია 10 იანვრისათვის.

ს. გრიგოლიშვილი.

* * *

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

22 დეკემბერი.

მოსკოვი. საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ საბჭომ გლეხების განთავისუფლების დღიდან 40 წლის შესრულების გამო დაადგინა მოსკოვში პირველ დაწყებით სწავლა ყველასათვის ხელმისაწდომი გახადოსო. ეხლა ქალაქს 215 სასწავლებელი აქვს 753 განყოფილებით; ამ სასწავლებლებში 29 ათასი ბავშვი სწავლობს. საბჭომ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ სამოსამართლო წესდების შეცვლის დროს მოსკოვში მომრიგებელი მოსამართლეები წინანდებურად ირჩევოდნენო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ბ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 21 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	93,80
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,32½
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	89
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	87¾
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	418½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	314¾
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	263
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89¾
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
 ღია არის დილით 10—2 საათ
 „ „ საღამ. 5—7 „
 კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
 ღია არის დილით 10—2 საათ.
 „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
 ღია არის დილით 10—2 საათ.
 „ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან**.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესო

ყვავილის

ო-დე-კოლონი

№ 4711

რეინის თაიგულები

მშვენიერი და იაფი სასხურებელი ხელსახოცებისათვის.

უოველგვარ ყვავილისა და მოდის სურნელობისა

(6—ც.—3)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** წელიწადი მეათე

სურათებიანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით **6** მან.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით **9** მან.

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით **10** მან. ცალკე №—1 მან.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

საზღვარ გარედ ერთის წლით **13** მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ **უფასოდ გაეგზავნება** ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ ავალიშვილის** მიერ და შედარებულია **ჟიარდოს** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ

ჟაზგების ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію **„Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“**.

ნამდვილი მაისის ბალზამი

დეისტ. სტ. სოვ.-ის ქვრივის ა. პ. კოროსტოვცევას სიკვდილის შემდეგ, რომელიც ამზადებდა და ჰყიდდა ნამდვილ მაისის ბალზამს და რომელიც სცხოვრობდა პეტერბურგში, ობუხოვის ხიდთან, სახ. ალექსანდროვისა № 109/14, ბინა 12, ამ საქმეს განაგრძობს იმისი ქალი ელენე იაკობის ასული კოროსტოვცევა (ქმრის გვარი გრ. სეჩენი), რომელიც სცხოვრობს იქვე. ბალზამი ეხლა იყიდება წინანდელ ადგილის პირდაპირ, საკუთარ სახლში, ობუხოვის ხიდზე, Ш/15. ბინა 12. ბალზამი გაიგზანება ფას-დადებით. ერთი შუშა გაგზავნით ღირს 1 მ. 40 კ. 12 შუშა—12 მან. 6 შუშა—6 მან., პატარა შუშა—50 კ. (3—მც.—1)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—შ.—29) ფოსტის ადრესი: Тифлисъ. редакція журнала **„НАКАДУЛИ“**.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. **ტელეფონი** № 680 (0—194)

ამერიკულ ვაზის სანერგე

კლდე-ქვიშნაროვნი ქუთაისს

იყიდება 1000 ჯიშის ნერგი:

დამყნილი ძირიანი ვაზი. ლერწი ნამყენი და დასამყნობი. ფესვ-გადგმული ვაზები გასაშენებლად და პირდაპირ ნაყოფიერი ჰიბრიდები, რომელიც კარგ ნაყოფს იძლევა. განცხადება და პრეისკურანტი უფასოდ. (5—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახნაჩი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივ II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ეხნთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	1	—

გამოვიდა და იყიდება ყველგან

კ. თავართქილაძის

ახალი გამოცემანი:

1, „საყოველთაო სურათებიანი კალენდარი“ 276 გვერდი სალიტერატურო და სამეცნიერო განყოფილებანი, ფასი 20 კაპ.

2, „სურათებიანი კედლის კალენდარი“ მშვენიერის სხვა-და-სხვა ფერის ლამაზ კარდონით, ფასი 40 კ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

3, ე. ნინოშვილის სრული თხზულება ჯერ დაუბეჭდავი და დაბეჭდილი სულ 800 გვერდამდე, მშვენიერის მოვარაყებულ კალენკორის ყდაში მხოლოდ სახალხოდ ფასი 2 მან.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან. Тифлисъ К. Тавартkиладзе. (5—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ხეხილიანი ვენახი

ამიერ-კავკ. რკ. გზის სოლანლუღის სადგურის მახლობლად იძლევა იჯარით შეღავათიანის პირობებით. ჰკითხეთ კუკიაში, ალექსანდრეს ქუჩაზე სახ. № 7 და 9 მეეზოვის ნიკოლოზს. (2—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

1905 годъ

на вечернюю газету

„Приволжскій Край“

издающуюся въ Саратовѣ.

Подписная цѣна для иногороднихъ подписчиковъ на годъ—5 рублей, на полгода - 3 рубля, на 3 мѣсяца—1 р. 70 к., на 1 мѣсяцъ—60 коп.

Объявленія принимаются по таксѣ: впереди текста 15 коп., послѣ текста 5 коп., годовыя по соглашенію въ Центральной конторѣ объявленій Т. Д. „Л. Э. Мэтцлъ и Ко“ въ Москвѣ, а изъ губерній нижняго Поволжья въ конторѣ „Приволжскаго Края“ въ Саратовѣ. (3—2)

Доз. цен. Тифлисъ, 23 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.